

ორი ქართული მოდერნისტული რომანის ინტერტექსტები - „სანავარდო“ -  
პეტერბურგი“; „დიონისოს დიმილი“ – „სიკვდილი ვენეციაში“

თამთა მდივანი

*ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი - შედარებითი ლიტ.მცოდნეობა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა მდივანი

2021

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოთხი მოდერნისტული რომანი: დემნა შენგელაიას „სანავარდო“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, ანდრეი ბელის „პეტერბურგი“ და თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“ ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში. კვლევაში გამოყენებულია კომპარატივისტული მიდგომა, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ შედარების საფუძველზე გამოვლინდეს რა აკავშირებს ერთმანეთთან ამ ტექსტებს, როგორც მოდერნისტულ რომანებს. ნაშრომის მიზანია იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა ამ ნაწარმოებებში, რაც ზოგადად მოდერნიზმისთვისაა დამახასიათებელი და დადგინდეს, რომ ისინი მართლაც განეკუთვნებიან მოდერნისტულ რომანთა კატეგორიას.

რომანების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, ქართული მოდერნისტული ტექსტებისთვის კონკრეტული ევროპული და რუსული მოდერნისტული ტექსტები ასრულებს პრეტექსტის ფუნქციას. მოდერნიზმის ერთიანი კულტურული კონტექსტის ფარგლებში, ნაწარმოებებში თავს იჩენს დაკარგული ღმერთის ძიების მოტივი, ეგზისტენციალური კრიზისის ქვეშ მყოფი ადამიანების შინაგანი განცდები, გამოუვალობა და შიში, რაც ევროპული მოდერნიზმის დისკურსებია. ოთხივე მათგანში მოქმედების გარემო არაჯანსაღია, რაც ერთგვარი მინიშნებაა მთავარი პერსონაჟების ხასიათსა და შინაგან მდგომარეობაზე. უჭირთ საკუთარი თავის გამოვლენა, თვითიდენტიფიკაცია, იპყრობთ სასოწარკვეთა. საერთოა პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები. ნაწარმოებებში ნაჩვენებია ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართება. ვხვდებით აპოლონურისა და დიონისურის მონაცვლეობას - ღვთაებრივ მისწრაფებებს უპირისპირდება მიწიერი სურვილები. ნიცშეს იდეა, რომ ადამიანმა მიაღწიოს განღმრთობას და გახდეს „ზეკაცი“ მათშიც ისახება.

## Abstract

In this thesis the intertextual relations between the modernist novels/novellas are discussed in the context of European modernism. The selected novels are: Demna Shengelaia's *Sanavardo* and Andrei Bely's *Petersburg*; Konstantine Gamsakhurdia's *The Smile of Dionysus*, and Thomas Mann's *Death in Venice*. The study uses a comparative approach, which in this case means to identify on the basis of comparison, what brings these texts together like modernist novels. The goal of the thesis is to identify the features of these novels that are typical for modernism in general and to determine that they really belong to the category of modernist novels.

The study of the novels/novella proves that Georgian authors had selected concrete modernist texts as pretexts for their works. The main modernist features are manifested in all four novels: the motive of the search for a lost God; the inner feelings of helplessness and fear of people; existential crisis, which is typical for the discourses of European modernism. The action environment in all the four of them is unhealthy, and this is a reference to the inner state of the main characters. They find it difficult to express and express and identify themselves, they are overwhelmed by despair. Psychological portraits of characters are similar. The novels show the interrelationship between man and the world. We encounter the alternation of Apollonian and Dionysian – divine aspirations are opposed by earthly desires. Nietzsche's idea of man attaining deification and becoming a "superman" is also reflected in the novels.